



სახელმძღვანელო ინგლისური ენა 1 რეგისტრაციისთვის

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის ინგლისური ენის კომპონენტი (30 კრ.) ორიენტირებულია უცხოური, კერძოდ ინგლისური ენის სწავლების უზრუნველყოფაზე და აღნიშნულის მეშვეობით მშობლიურთან ერთად კიდევ ერთ, საერთაშორისო ენაზე კომუნიკაციის ხელშეწყობაზე სპეციალობისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

ინგლისური ენის სასწავლო კურსების მოცულობა და სწავლის შედეგები, სემესტრების მიხედვით, ნაწილდება შემდეგი სახით:

ზოგადი ინგლისური ენა (GENERAL ENGLISH) (20 ECTS): ინგლისური ენა 1 (5 ECTS) ;ინგლისური ენა 2 (5 ECTS) ;ინგლისური ენა 3 (5 ECTS); ინგლისური ენა 4 (5 ECTS) .

დარგობრივი ინგლისური ენა 1 (5 ECTS) -სასწავლო კურსის სწავლის შედეგი: სტუდენტები ფლობენ სასაუბრო ლექსიკის ყველა ძირითად ასპექტს: კითხვის, წერის, მოსმენისა და საუბრის უნარებს B 2.1 დონეზე.

დარგობრივი ინგლისური ენა 2 (5 ECTS) -სასწავლო კურსის სწავლის შედეგი: სტუდენტები ფლობენ სასაუბრო ლექსიკის ყველა ძირითად ასპექტს: კითხვის, წერის, მოსმენისა და საუბრის უნარებს B 2.2 დონეზე.

საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სემესტრიდან უნივერსიტეტის მიერ ხორციელდება შესასწავლი ინგლისური ენის დონის განსაზღვრა აბიტურიენტის მიერ ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ნედლი ქულის მიხედვით და **ინგლისური ენა 1-ის** შეთავაზება 3 პაკეტად, შემდეგი გრადაციით:

ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ნედლი ქულა	შესასწავლი ინგლისური ენა 1 -ის დონე
<22	A1.1
23-50	A2.1
50>	B1.1

რეგისტრაციის დროს წარმოშობილ **ტექნიკურ პრობლემების** შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ადმინისტრატორებს ტელეფონით **2402946** და შიდა ნომერი **201** ან პირადად, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს (ოთახი #210) .